ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N32

22 .05.2025
სხდომის ჩატარების
ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი მამუკა რიჟამაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თეიმურაზა ნადიარძე, მაგდა კოსტავა, დიმიტრი მხეიძე, მანანა ჩიხლაძე, მერაბ ჭოხონელიძე, მიხეილ გიორგაძე, ელეონორა არჩაია, ნონა ქანდარია, გრიგოლ შუშანია.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ლიკა ჩახუნაშვილი და ანა ერემეიშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა რიჟამაძემ და წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული 2 საკითხი:

1. 2025 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამების 3 თვის ანგარიშის მოსმენა.
2. 2025 წლის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დახმარებით ისარგებლა 1284 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 151 694, 58 ლარი.

2. „მედიკამენტებით უზრუნველყოფა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 320 000 ლარი.
ქვეპროგრამითმოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან:
ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და 100001–მდე სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე პირები (ისარგებლა 180 ბენეფიციარმა);
ნათესაურ და არანათესაურ მინდობით აღზრდაში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (1 ბენეფიციარი);
ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები (ისარგებლა 6 ბენეფიციარმა);
მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (ისარგებლა 33 ბენეფიციარმა);
ჰემოდიალიზზე მყოფი პირები (ისარგებლა 71 ბენეფიციარმა);
ოჯახური ძალადობის მსხვერპლები;
მარჩენალდაკარგული სტატუსის მქონე პირები;
2004 წლის აგვისტოს ქართულ–ოსურ კონფლიქტსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების ოჯახების წევრები (ისარგებლა 1 ბენეფიციარმა);
მიუსაფარ ბავშვთა სადღეღამისო მომსახურების თავშესაფრის ბენეფიციარები;
პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლები/მათი ოჯახის წევრები;
ასევე, ბენეფიციარები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო (გარდა უძრავ–მოძრავი ქონების შეძენის მიზეზისა) შეუწყდათ რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში, ისარგებლებენ საბიუჯეტო წლის ბოლომდე, დამატებითი მოკვლევის საფუძველზე.

დახმარებით ისარგებლა სულ 292 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 21 829, 66 ლარი .

3.,,ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა”

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 25 000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები.

დახმარებით ისარგებლა 24 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 2 440, 45 ლარი .

4. „ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 80 000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან:
ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები, ფენილკეტონურიის/ცელიაკიის დიაგნოზის მქონე პირები. დახმარების ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:
ა) 18 წლამდე ასაკის (18 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით), მათ შორის სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ (ნათესაური/არანათესაური მინდობით აღზრდა) ბავშვებს, ასევე, შესაბამისი საჭიროების მქონე 18 წლის ან მეტი ასაკის პირებს, რომლებიც ირიცხებიან 24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებებში, ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით საჭირო ტრანსპორტირების ხარჯებისთვის (200 ლარის ღირებულების კვების ვაუჩერს ისინი მიიღებენ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში);
ბ) 18 წლის ან მეტი ასაკის პირები, დახმარებას მიიღებენ ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 53 ბენეფიციარმა, მათ შორის 40 არასრულწლოვანი ბენეფიციარი ყოველთვიურად იღებს დახმარებას 100 ლარის ოდენობით ხოლო 13 სრულწლოვანი ბენეფიციარი ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 15 400 ლარი.

5. „სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 70 000 ლარი

ქვეპროგრამით ხორციელდება ქალაქ ქუთაისში, ზ. ჭავჭავაძის ქუჩის N1 და N3–ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ დახარჯული ელექტროენერგიისა (თითოეულ აბონენტს თვეში არაუმეტეს 60 ლარისა) და ცენტრალური გათბობისათვის საჭირო ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.
გუგუნავას ქ. N12-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა მიერ დახარჯული ელექტროენერგიის თანხა ანაზღაურდება ყოველთვიურად, წარმოდგენილი ქვითრების შესაბამისად,ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით 60 ლარის ფარგლებში.
ასევე, ნიკეას ქ. N40ბ - ში მდებარე სოციალური საცხოვრისის საერთო სარგებლობის ფართში მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯი.
დახმარებით ისარგებლა 61 ოჯახმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 15 191, 11 ლარი.

6. „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 1 135 000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმდინარე პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარებით ისარგებლა 663 მრავალშვილიანმა ოჯახმა, ასევე მათ შორის:

„ერთჯერადი მატერიალური“ 5 და მეტი შვილის დახმარების ქვეპროგრამით ისარგებლა 178 ოჯახმა;

„ერთჯერადი მატერიალური“ შეძენა, 4 და მეტი შვილის დახმარების ქვეპროგრამით ისარგებლა 14 ოჯახმა;

„მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მოხმარებული ელ. ენერგიის თანადაფინანსებით ისარგებლა 144 ოჯახმა;

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 293 032, 89 ლარი .

7. „სარიტუალო დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10 000 ლარი

მოსარგებლე ბენეფიციარები: გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის გამღები პირები/ოჯახის წევრები. გაიცემა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით.
დახმარებით ისარგებლა 3 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 900 ლარი .

8. „სოციალური ღონისძიებები "

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 922 000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 64 ბენეფიციარმა, მათ შორის:
2004 წლის ქართულ-ოსური კონფლიქტისა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომებში დაღუპული გმირების ოჯახის წევრებს 3 მარტს გადაეცათ მატერიალური დახმარება - 9 ბენეფიციარი;
ავღანეთის ომის მონაწილეები -50 ;
100 წლის ბენეფიციარი - 5;

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 411 125 ლარი

9. ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 165 000 ლარი.

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი, 0–70001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე, ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერგის ღირებულების თანადაფინანსება, სულადობის მიხედვით და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას.

დახმარებით ისარგებლა 2273 ოჯახმა- 6511 ოჯახის წევრი.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 23 594 ლარი.

10. ,,განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 170 000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები, სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებიდან გასული პირების ფინანსურ დახმარებას, კერძოდ:

თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე - თვეში 200 ლარს;

ჰემოდიალიზზე მყოფი პირების, მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით დახმარებას, თვეში 100 ლარი.

დახმარებით ისარგებლა 119 ბენეფიციარმა, მათ შორის 103 ჰემოდიალიზზე მყოფი პირი და რეინტეგრირებული - 15 ოჯახი - 18 ბავშვი.

სახელმწიფო ზრუნვიდან გასული -1.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 39, 700 ლარი.

11. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 165 000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები არიან:

სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე:

ა)0–6 წლამდე ბავშვები (6 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით);

ბ) 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000–ს;

გ) მინდობით აღზრდაში მყოფი შშმ ბავშვები;

დ) მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ბენეფიციარები;

ე) მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების ან ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარები;

მათთვის უმთავრესი საჭიროების ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ: ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი ხელსახოცებით უზრუნველყოფა.

დახმარებით ისარგებლა 202 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 30 073, 38 ლარი.

12. „კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 18 000 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე, 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.
დახმარება გაეწევათ კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით. ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება, თვეში – 95.0 ლარის ოდენობით და ექვს თვეში ერთხელ, პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება – 200,0 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 8 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 2 130 ლარი.

13. ,,ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა თანადგომა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 65 000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში 0-18 წლამდე ასაკის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს, გაეწიათ მატერიალური დახმარება, თითოეულს თვეში 200 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 23 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 15 000 ლარი .

14. ,,შინმოვლა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 100 000 ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქ. ქუთაისში რეგისტრირებული 120001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები /შემდგომში - მოსარგებლე/, რომელთათვისაც „უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის“ მიხედვით მინიჭებული ქულა /შემდგომში – ბართელის ინდექსი/ არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/ და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე. მოსარგებლეთა კატეგორია განისაზღვრება ბართელის ინდექსის მიხედვით: ა) I კატეგორია: ბართელის ინდექსი ნაკლებია 70 ერთეულზე; ბ) II კატეგორია: ბართელის ინდექსი მეტია, ან ტოლია 70 ერთეულისა და ნაკლებია 80 ერთეულზე; გ) III კატეგორია: ბართელის ინდექსი მეტია, ან ტოლია 80 ერთეულისა და არ აღემატება 95 ერთეულს.
ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება წლიური ვაუჩერის მეშვეობით, რომლის ღირებულება კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირია: ა) I კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 660 ლარი; ბ) II კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 540 ლარი: გ) III კატეგორიას მიკუთვნებული პირისთვის: 360 ლარი.
დახმარებით ისარგებლა 144 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 13 200 ლარი.

15. „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2 450 000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგისტრირებული და მცხოვრები 2 – დან 17 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვებს, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0 – F84.9).
ქვეპროგრამის ფარგლებში, ანაზღაურდება სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების (სამი ორგანიზაცია) მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის გაწეული მომსახურება.

დახმარებით ისარგებლა 440 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 281 974,50 ლარი.

16. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 30 000 ლარი.

ა) ქვეპროგრამა ითვალისწინებს: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შშმ პირთა და/ან მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებას. კონკურსის წესის შესაბამისად შეირჩევა სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე განათლებასა და დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტები.

ქვეპროგრამის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელების მიზნით კონკურსი არ გამოცხადებულა.

17. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 95 000 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში მოქმედი 0-18 და 18 წლის ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა მომსახურების მიმწოდებელი 7 ორგანიზაციისათვის თანადაფინანსების პრინციპით კომუნალური ხარჯების (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი). მათ შორის 6-დან 18 წლამდე მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, ბენეფიციართა ტრანსპორტირების, განმავითარებელი და სხვა საშუალებების ხარჯების ანაზღაურება.

დახმარებით ისარგებლა 7 ორგანიზაციამ.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 6 576,28 ლარი.

18. „მარტოხელა მშობელთა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 80 000 ლარი.

ქვეპროგრამით განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში მცხოვრები და რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელექტრო ენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 40 ლარის ოდენობით. აქედან, ელექტრო ენერგიის გადასახადის თანადაფინანსება ოჯახზე განისაზღვრება ყოველთვიურად, 20 ლარის ფარგლებში; ბუნებრივი აირის – ყოველთვიურად, 15 ლარის ფარგლებში, წყლის გადასახადი კი, – 5 ლარის ფარგლებში.

დახმარებით ისარგებლა 159 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 11 657 ლარი .

19. „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 4000 ლარი.
ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) მყოფი პირის/ოჯახის თავშესაფრის დატოვების შემდეგ ფინანსურ დახმარება, რომელიც განისაზღვრება 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად 1 წლის განმავლობაში.

დახმარებით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 400 ლარი.

20. ,,საქართველოს „ბავშვთა ეს-ო-ეს სოფლის" დღის ცენტრის ბენეფიციართა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 37 000 ლარი.
ქვეპროგრამის ფარგლებში ბავშვების სოციალური დახმარებისა და მათი ოჯახების გაძლიერების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ასოციაცია საქართველოს „SOS ბავშვთა სოფელს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე, ხდება საქართველოს „SOS ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტის /„დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარება“/

დაფინანსება, რომლის ფარგლებში ფინანსდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული 12–დან 36 თვემდე ბავშვების დღის ცენტრში მომსახურება: კვება, და ჰიგიენური საშუალებები;

დახმარებით ისარგებლა 14 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 3 105, 46 ლარი.

21. ,,გადაუდებელი რეაგირება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 500 000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში/სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების/ოჯახების დახმარებას, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა მომსახურების მიწოდებას ან/და მატერიალურ დახმარებას.

ბენეფიციარები სხვადასხვა მომხდარ გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელია იყვნენ:

სოციალურად დაუცველი პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არასრულწლოვნები, ხანდაზმული პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, მარტოხელა მშობლები, უსახლკარო პირები, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე პირები, მხარდაჭერის მიმღები პირები, ძალადობის მსხვერპლები და სხვა პირი, რომელიც შესაძლებელია იყოს ზემოაღნიშნულ პირთა მსგავს საფრთხეში;

დახმარებით ისარგებლა 135 ბენეფიციარმა, მათ შორის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ გაეწია მატერიალური დახმარება 24 ბენეფიციარს, საგარანტიო ბარათი გაიცა 81 მოქალაქეზე, ხოლო 30 ბენეფიციარს გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით გაეწიათ სხვადასხვა სახის დახმარება.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 28 101 ლარი.

22. ,,მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 5 000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური/ხმოვანი აპარატების შეძენა.

„მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების შეძენის“ ქვეპროგრამის განხორციელებისთვის მაისის თვეში დაგეგმილია სატენდერო პირობებით აპარატების შეძენა.

სამი თვის მანძილზე სულ განხილულია და პასუხგაცემულია 457 განცხადება და წერილობითი მომართვა.

23. ,,გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის ფსიქიატრიული სერვისებით უზრუნველყოფა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10 000 ლარი.

ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალები და გოგონები, რომლებიც საჭიროებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში ჩართვას. ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებელს წარმოადგენს ა(ა)იპ „წამების მსხვვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი“ /GCRT, რომელიც პროექტის „ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში განახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებითვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მიწოდებას. კერძოდ: ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის მომსახურებას, ასევე ფსიქიატრის კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას, რაც განხორციელდება ქუთაისის მერიის წილობრივი ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც განისაზღვრება 10000 /ათი ათასი/ ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 20 ბენეფიციარი. ბენეფიციარების ქვეპროგრამაში ჩართვა: სერვისში რეფერირებას მოახდენს განმახორციელებელი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური, ხოლო ამის შემდგომ GCRT-ის ქუთაისის სარეაბილიტაციო გუნდი იმოქმედებს შესაბამისად.

გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი.

24. ,,სოციალურად დაუცველ ოჯახებში შეძენილ ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 5 000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში არანაკლებ ბოლო ერთი წლის მანძილზე ფაქტობრივად მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებში შეძენილ ახალშობილზე ფინანსურ დახმარებას. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ახალშეძენილი შვილიანი ოჯახი, რომელიც ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000–ს, 2025 წელს შეძენილ თითოეულ შვილზე გაეწევა მატერიალური დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, გარდა „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისა.

დახმარებით ისარგებლა 0 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა ლარი.

25. ,,მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 60 000 ლარი.
ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერება, რომლებიც ეწევიან მიკრო ან მცირე მეწარმეობას. პროექტების დაფინანსება განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

26. ,,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 108 000 ლარი.
ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის ქვეპროგრამის მიზანია ბავშვის უფლებათა კოდექსის მოთხოვნათა და არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროგრამის მონაწილე ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური უსაფრთხოების, ასევე, ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, რათა, ამ გზით შემცირდეს ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე.
ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, ასევე მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფიდან, სულ მცირე, ორს მაინც აკმაყოფილებს:

სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 120 001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები;
გაღარიბების მაღალი რისკის წინაშე კრიზისულ მდგომაროებაში მყოფი ბავშვიანი ოჯახები /სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე/;
ერთ-ერთი მშობელი, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებს მშობლის ფუნქციებს;
ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ სუსტი თანადგომის ქსელი /სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე/;
ბავშვიანი ოჯახები, სადაც ერთი მშობელი კანონთან კონფლიქტშია;

ქვეპროგრამის განხორციელება მიმართულია ბავშვიანი ოჯახებისათვის გრძელვადიან მხარდაჭერაზე, რომელიც მოიცავს სამ კომპონენტს. კერძოდ, ქვეპროგრამის მონაწილე ოჯახებთან ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომებით მოხდება სოციალური მუშაკების ჩართულობა, ოჯახის ეკონომიკური და პოზიტიური მშობლობის კუთხით გაძლიერება.
მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფისა და სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციის სპეციალისტებთან ერთობლივ სამუშაო სხდომებზე, გამოვლინდა კონკურსში გამარჯვებული ბენეფიციარები.
დახმარებით ისარგებლა ოჯახმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა ლარი.

27. ,,პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 70 000 ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირველი ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 0–დან 18 წლამდე (18 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით) პირთა ფინანსურ დახმარებას, მკურნალობისათვის საჭირო, ჯანსაღი კვების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით.

დახმარებით ისარგებლა 48 ბენეფიციარმა

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 9 000 ლარი.

28. ,,გლაუკომით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა ქვეპროგრამის ბიუჯეტი 20 000 ლარი.

ქვეპროგრამით ისარგებლებენ: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთა ანტიგლაუკომატოზური პრეპარატებით დახმარება 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება, კერძოდ: ასაკის პენსიონერები, შშმ პირები.

29. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურება.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 180 400 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 აპრილამდე ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში მიღებული იქნა 39 განცხადება და შეფასებული იქნა 62 ბავშვი.

გატარდა შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ:

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის ,,გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამის" ფარგლებში განაცხადი გააკეთა 23 მოქალაქემ, სულ განხორციელდა 32 ბავშვის შეფასება.

"სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან შემოვიდა 7 შეტყობინება, შეფასდა 15 ბავშვი.

თვითმომართვა განახორციელა 4 მოქალაქემ და შეფასდა 7 ბავშვი.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან შემოვიდა 3 განაცხადი და შეფასდა 3 ბავშვი, ვერ შეფასდა 2 ბავშვი

მერიის ადმინისტრაციული ერთეულიდან შემოსული წერილის საფუძველზე შეფასდა 3 ბავშვი.

ვიცე-მერის დავალებით შეფსდა 2 ბავშვი

მეორე დონეზე- სოციალური მუშაკები ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის მიხედვით მონიტორინგს ახორციელებენ 33 ბავშვთან.

აღნიშნული საკითხი კომისიის წევრებმა ერთხმად მოიწონეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი წარმოადგინა ვარლამ გობეჯიშვილმა.

ვარლამ გობეჯიშვილი: წარმოგიდგენთ, რამდენიმე ქვეპროგრამას, რომელშიც მართებულად მიგვაჩნია შევიდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ქვეპროგრამა: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02). ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) ან მეტი არასრულწლოვანი შვილი. ქვეპროგრამის მიზნებისთვის დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახი წარმოადგენს ერთ განცალკევებულ ფართობზე მუდმივად მცხოვრებ პირთა წრეს, რომლებიც ეწევიან ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას. სავალდებულოა, რომ ორივე მშობელი /არასრულწლოვან შვილებთან ერთად/ მცხოვრები იყოს ქალაქ ქუთაისში, ხოლო ერთ-ერთი მაინც რეგისტრირებული, დახმარების დანიშვნამდე არანაკლებ ერთი წლისა. ასევე, სავალდებულოა ყველა არასრულწლოვანი შვილის რეგისტრაცია ქალაქ ქუთაისში. ქვეპროგრამაში ჩართვისას და 6 თვის გასვლის შემდგომ ბენეფიციარები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ოჯახის შემადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან. ბენეფიციარები დახმარებებს მიიღებენ განცხადებით (თანდართული საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად) მიმართვის მომდევნო თვიდან. ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ბენეფიტები 4 სახისაა: ა) ყოველთვიური მატერიალური დახმარება; ბენეფიციარებს თითოეულ არასრულწლოვან შვილზე გაეწევათ მატერიალური დახმარება თვეში 40 (ორმოცი) ლარის ოდენობით. 18 წლის შესრულების შემთხვევაში დახმარება შეწყდება მომდევნო თვიდან. სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფ არასრულწლოვან ბავშვზედახმარება არ გაიცემა. ბ) მატერიალური დახმარება შვილის დაბადებაზე (შეძენა); მრავალშვილიან ოჯახში, სადაც 2025 წელს დაიბადება მე–4 და შემდეგი შვილი,

მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად, კერძოდ: მე–4 შვილის შეძენისას დახმარება შეადგენს 1500 (ათას ხუთასი) ლარს, მე–5 შვილის შეძენისას – 1600 (ათას ექვსასი) ლარს, მე–6 შვილის შეძენისას – 1700 (ათს შვიდასი) ლარს, მე–7 შვილის შეძენისას – 1800 (ათას რვაასი) ლარს, მე–8 და მეტი შვილის შეძენისას – 2000 (ორი ათასი) ლარს. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარისთვის არსებობს ბენეფიტის მიღების ერთდროულად ორი საფუძველი, კერძოდ: ერთჯერადი მატერიალური დახმარება და მატერიალური დახმარება შვილის შეძენაზე, დახმარება გაიცემა ჯამში, ამ ორი საფუძვლისთვის განსაზვრული ბენეფიტებიდან უმაღლესის მოცულობის ფარგლებში. გ) მატერიალური დახმარება წელიწადში ერთჯერადად; მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 5 (ხუთი) და მეტი შვილი და ამათგან ერთი მაინც არასრულწლოვანია, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად, კერძოდ: 5 (ხუთი) შვილიან ოჯახს – 500 ლარის ოდენობით, 6 (ექვსი), 7 (შვიდი) და 8 (რვა) შვილიან ოჯახებს დახმარება გაეწევა – 700 ლარის ოდენობით, 9 (ცხრა) და მეტი შვილიანი ოჯახების დახმარება შეადგენს 1000 ლარს. დ) ელექტრო ენერგიის ხარჯის ანაზღაურება. მრავალშვილიან ოჯახებს, რომლეთაც ჰყავთ თუნდაც ერთი არასრულწლოვანი შვილი და ვერ სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეღავათით, თვეში მიიღებენ ელექტრო-ენერგიის დანახარჯის ანაზღაურებაში დახმარებას, თანადაფინანსების სახით 20 ლარის ფარგლებში. აღნიშნულ ლიმიტს დაემატება 10 ლარი ხუთშვილიანი ოჯახის შემთხვევაში, ასევე ყოველ მომდევნო შვილზე იგივე წესით. ხარჯი ანაზღაურდება ფაქტიური მოხმარების მიხედვით ლიმიტის ფარგლებში დავალიანების გათვალისწინებით. ოჯახში ისეთი ცვლილებების შემთხვევაში, როგორიცაა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა სხვა ქალაქში/რეგიონში ან საზღვარგარეთ, ბენეფიციარის ან შვილის გარდაცვალება, ოჯახი ვალდებულია შეატყობინოს ქალაქ ქუთაისის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურს 10 კალენდარული დღის ვადაში. მაშინ როცა სამსახურისთვის ცნობილი გახდება დასაბუთებული ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ, განიხილავს ბენეფიციარისთვის დახმარების შეჩერების საკითხს და მოახდენს სათანადო რეაგირებას. ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით მოქალაქე განცხადებით მიმართავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურს შემდეგი თანდართული დოკუმენტებით: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი; ოჯახის შემადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან; საბანკო ანგარიში. ასევე, ყველა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით

ქვეპროგრამა: მარტოხელა მშობელთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 15). ქვეპროგრამით განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში მცხოვრები და რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელექტრო ენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინანსება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 40 ლარის ოდენობით. აქედან, ელექტრო ენერგიის გადასახადის თანადაფინანსება ოჯახზე განისაზღვრება ყოველთვიურად, 20 ლარის ფარგლებში; ბუნებრივი აირის – ყოველთვიურად, 15 ლარის ფარგლებში, წყლის გადასახადი კი, – 5 ლარის ფარგლებში. მოხმარებული გადასახადების ღირებულების ანაზღაურება/თანადაფინანსება მოხდება სადისტრიბუციო კომპანიების ანგარიშებზე ჩარიცხვის გზით. ქვეპროგრამის ბენეფიციარებს განეკუთვნებიან მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილი/შვილები /18 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით/ და არ იმყოფებიან ქორწინებაში. ბენეფიციართა იდენტიფიცირება მოხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით. დახმარების მიმღებმა პირმა უნდა წარმოადგინოს: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; ბავშვის დაბადების მოწმობა; კომუნალური გადასახადების (ელექტრო ენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი) ქვითრები; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული გადაწყვეტილება მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ და ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ (სტატუსის გადამოწმება მოხდება 6 თვეში ერთხელ სამოქალაქო რეესტრში); საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით (გაეროს მდგრადი განვითარების "SDG" მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ც) ქვეპროგრამა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 30)

პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა, პერსონალური ასისტირების საშუალებით;

პროგრამის ამოცანაა ამ პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, მომსახურების მიმღები პირისთვის

პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიმღებთა მიერ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ფუნქციურ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე მორგებული მომსახურების მიღება, ხელი შეუწყოს მათ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელებაში, დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდასა და სოციალურ აქტივობაში.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/ მცხოვრები 18 წლის და მეტი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომელთაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე განესაზღვრათ პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი. პროგრამაში ჩართვის დამატებითი კრიტერიუმებია: ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000–ს; ბ) მარტო მცხოვრები შშმ პირი; გ) მარტოხელა პენსიონერი (პირი, რომელსაც არ ჰყავს შვილები და/ან მარჩენალი); დ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი; ე) მრავალშვილიანი ოჯახის სრულწლოვანი პირი; ვ) დასაქმებული შშმ პირი; ზ) პროფესიული კოლეჯის 18 წლისა და მეტი ასაკის მქონე სტუდენტი.

პროგრამაში ჩართვის პრიორიტეტებია: ა) მომართვის თარიღი; ბ) ფუნქციური შეფასების ქულა; გ) მკვეთრად გამოხატული შშმ პირი; დ) ერთდროულად ორი ან მეტი კრიტერიუმის დაკმაყოფილება; ე) ოჯახი, რომლის ორი ან მეტი წევრი არის შშმ პირი და ერთ-ერთი საჭიროებს ასისტირებას. ვ) მომსახურების მიღების მსურველთა სიაში რეგისტრაცია; ქვეპროგრამაში ვერ ჩაერთვება:

ა) პირი, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში დიდ ინსტიტუციაში, 24-საათიან სათემო და/ან მცირე საოჯახო მომსახურებაში;

ბ) არის ამ ქვეპროგრამის ღონისძიებების მსგავსი შინმოვლის ან პერსონალური ასისტენტის სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამის/მომსახურების მოსარგებლე.

პროგრამაში ჩართვის პროცედურები და წარსადგენი დოკუმენტაცია: მომსახურების მიღების მსურველი შშმ პირი/მხარდამჭერი/კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას/სოციალურ საკითხთა სამსახურს შემდეგი დოკუმენტაციით: ა) შევსებული განაცხადის ფორმა; ბ) ასისტირების საჭიროების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც

ადასტურებს, რომ პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი; დ) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი; ე) პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახური ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტები. თუ დოკუმენტების ნუსხა სრულყოფილია და განმცხადებელი აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, განმცხადებელს ეცნობება იმის შესახებ, რომ შეფასების პროცედურის გასავლელად 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა მიმართოს სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის განმახორციელებელ უფლებამოსილ სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც სტანდარტიზებული კითხვარის საფუძველზე განსაზღვრავს მოსარგებლის პერსონალური ასისტირების საჭიროებას, კერძოდ: ა) რეგულარული - ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა ფიზიკური, სენსორული, ასევე მსუბუქი ან საშუალო გონებრივი შეზღუდვის და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს და არ მოითხოვს სპეციალიზებულ მომზადებას, სატრენინგო კურსის გავლას; ბ) სპეციალიზებული - ასისტირების ტიპი, რომელიც გაეწევა მძიმე და ღრმა გონებრივი შეზღუდვის, მძიმე ფიზიკური, ასევე მრავლობითი შეზღუდვის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მოითხოვს სპეციალიზებულ/დამატებით მომზადებას – სატრენინგო კურსის გავლას. მომსახურების მაძიებლის შეფასების შემდგომ, უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულება გასცემს პერსონალური ასისტენტის საჭიროების შეფასების ფორმას/დასკვნას, რომელიც 15 კალენდარული დღის ვადაში წარმოდგენილ უნდა იქნეს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში/სოციალურ საკითხთა სამსახურში, პროგრამაში ჩართვის საკითხის განხილვის მიზნით. პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის ეფექტიანად განხორციელებას და დადგენილი სტანდარტების დაცვას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამაში ჩართვის შესახებ განცხადებების განხილვას და პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება მერის მიერ დამტკიცებული დებულებით. სამუშაო ჯგუფი 2 კვირის ვადაში განიხილავს მომსახურების მისაღებად წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას პირისთვის პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამაში ჩართვის ან უარის თქმის შესახებ. წარმოდგენილი შეფასების ფორმის/დასკვნისა და პროგრამაში ჩართვის პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზნობრივი ტრანსფერის სახით პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში, სამუშაო ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ჩართვის ან ჩართვაზე უარის შესახებ. მიღებული

გადაწყვეტილება ეცნობება მომსახურების მაძიებელს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განმცხადებელს დამატებით ეგზავნება მუნიციპალიტეტში სამინისტროს მიერ მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული ორგანიზაციების ნუსხა და საკონტაქტო ინფორმაცია. თუ მომსახურების მაძიებელი აკმაყოფილებს პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს და აქვს მომსახურების მიღების საჭიროების შეფასების დადებითი დასკვნა, მაგრამ მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობიდან გამომდინარე (ფინანსური რესურსის ნაკლებობა) ვერ ხერხდება მისი პროგრამაში ჩართვა, სურვილის შემთხვევაში, პირი შეყვანილი იქნება მომსახურების მიღების მსურველთა სიაში. მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში შესაბამისი რესურსის აღმოჩენის შემთხვევაში (სხვადასხვა მიზეზით ბენეფიციარის პროგრამიდან გასვლა, ტრანსფერის მოცულობის გაზრდა და ა.შ.), ამ სიაში შეყვანილ პირთა დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სამუშაო ჯგუფის მიერ. შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მომსახურების მაძიებელი მიმართავს მუნიციპალიტეტში მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებულ მისთვის სასურველ ორგანიზაციას, პერსონალური ასისტენტის შერჩევის, ასისტირების მოცულობისა და პირობების შეთანხმების მიზნით. მომსახურების მიღების მსურველის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის გაკეთებული მიმართვის საფუძველზე, მიმწოდებელი ორგანიზაცია არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, ახორციელებს მომსახურების მიღების მსურველი პირის საჭიროებების შეფასებას „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №01–13/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელიც გულისხმობს შემდეგს: 1. ცხოვრების სტილის, გარემოსა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის, სასურველი აქტივობების განხორციელებისა და მათთან დაკავშირებული საჭიროებების, ასისტირებისთვის საჭირო საათების ოდენობისა და მომსახურების სახეების განსაზღვრას ვაუჩერით დადგენილი თანხის ფარგლებში და უზრუნველყოფს მომსახურების მიმღები პირის მიერ პერსონალური ასისტენტის/ასისტენტების შერჩევას, მისი სურვილის, შესაძლებლობების, საჭიროებების (მაგალითად: ასაკი, სქესი, პიროვნული თვისებები, კულტურული თავისებურებები, ინტერესები, საკომუნიკაციო ენა, ჩვევები და ა.შ.) და ასისტენტის კომპეტენციების გათვალისწინებით. 2. მიმწოდებელი ორგანიზაცია მომსახურების მიმღებ პირთან შეთანხმებით თანამშრომლობს მასთან დაკავშირებულ სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვა სფეროს სპეციალისტებთან და უზრუნველყოფს არსებული ინდივიდუალური განვითარების გეგმების მიზნების შესაბამისად მომსახურების მიმღები პირისთვის დანიშნული

პროცედურების/დავალებების შესრულებაში, უნარების განვითარებაში დახმარებას. პერსონალური ასისტენტის შერჩევის შემდეგ 5 სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელს, პერსონალურ ასისტენტსა და მომსახურების მიმღებ პირს შორის ფორმდება პერსონალური ასისტირების მომსახურების თაობაზე სამმხრივი ხელშეკრულება (მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია, მომსახურების მიმღები და პერსონალური ასისტენტი), რომელიც მოიცავს პერსონალური ასისტენტის მიერ გასაწევი საქმიანობების/მომსახურების სფეროებს, ვალდებულებებს, ვადებს, მომსახურების განრიგს, კონფიდენციალურობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს, ურთიერთობის წესებსა და მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა სპეციფიკურ ასპექტებს. მხარეებს შორის გასაფორმებელი სამმხრივი ხელშეკრულების პროექტი მომსახურების დადგენილ სტანდარტებთან და შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად წარედგინება ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას. პროგრამით გათვალისწინებული ვადების არასაპატიო მიზეზით დარღვევა ან მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას, მომსახურების მიმღებსა და პერსონალურ ასისტენტს შორის შეთანხმების მიუღწევლობა წარმოადგენს პროგრამაში მაძიებლის ჩართვაზე უარის თქმის საფუძველს. მომსახურების შეჩერების საფუძვლებია: ა)მოსარგებლე პირის პირადი განცხადება; ბ) მუნიციპალიტეტში ყველა რეგისტრირებული მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციონირების შეჩერება, შეჩერების ვადით ან არაუმეტეს პროგრამის მოქმედების ვადისა; გ) გარემოების ცვლილება, რომელიც საჭიროებს ასისტირების ტიპის ცვლილებას; მომსახურების შეწყვეტის საფუძვლებია: ა) მოსარგებლე პირის პირადი განცხადება; ბ) მომსახურების ზედიზედ 60 დღის მანძილზე გამოუყენებლობა; გ) მუნიციპალიტეტში ყველა რეგისტრირებული მომსახურების მიმწოდებლის ფუნქციონირების შეწყვეტა; დ) მომსახურების მიმღების რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, როდესაც ახალი რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი სცილდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიას; ე) მოსარგებლის მიერ სამმხრივი ხელშეკრულების არსებითი დარღვევა; ვ) მოსარგებლის ჩართვა სხვა მსგავს პროგრამაში; ზ) გარემოებების არსებითი ცვლილება, რომლის შედეგადაც მოსარგებლე ვეღარ აკმაყოფილებს პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებს; თ) მოსარგებლის გარდაცვალება. პროგრამის ყოველწლიური ბიუჯეტი განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისთვის პერსონალური ასისტენტის სერვისის განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით. პერსონალური ასისტენტის მომსახურების დაფინანსება მოიცავს მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიმღები პირის შეფასებას, პერსონალური ასისტენტის ხელფასს, მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ადმინისტრირების და საზედამხედველო ხარჯებს. მომსახურების მიმღები პირისთვის მისი სურვილისა და საჭიროების გათვალისწინებით პერსონალური ასისტენტის

მომსახურება დაფინანსდება: ა) რეგულარული ასისტირებისთვის – არაუმეტეს თვეში 60 საათი; ბ) სპეციალიზებული ასისტირებისთვის – არაუმეტეს თვეში 120 საათი. რეგულარული ასისტირებისთვის დაფინანსების ოდენობა (ტარიფი) არის საათში 12 ლარი, ხოლო სპეციალიზებული ასისტირებისთვის – საათში 13 ლარი. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება ვაუჩერის მეშვეობით ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, ამ მუხლის მე–3 პუნქტით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად. გაწეული მომსახურების ანაზღაურების მიზნით მიმწოდებელი პროგრამის განმახორციელებელს წარუდგენს საანგარიშგებო დოკუმენტაციას ფაქტობრივად გაწეული საათობრივი მომსახურების შესახებ (ბენეფიციართა რეესტრი და მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები) საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე. პერსონალური ასისტენტის მომსახურების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მერიის შესაბამისი სამსახური: ა) პერიოდულად ახორციელებს მიწოდებული მომსახურების სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან, მათ შორის, პერსონალის მიმართ დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმებას; ბ) მომსახურების არასათანადოდ განხორციელების თაობაზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახდენს კონკრეტული ფაქტის შესწავლას; გ) მონიტორინგის შედეგად შეიმუშავებს რეკომენდაციებს მიმწოდებლისთვის და ახორციელებს რეკომენდაციების შესრულების კონტროლს; დ) პერიოდული მონიტორინგის და კონკრეტული ინფორმაციის მიღების შედეგად განხორციელებული მონიტორინგის, ასევე გაცემული რეკომენდაციების გონივრულ ვადაში შესრულების შემოწმების საფუძველზე, უფლებამოსილია დასვას მიმწოდებლისთვის რეგისტრაციის შეწყვეტის საკითხი. პროგრამის მოქმედება იწყება 2025 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

(გაეროს მდგრადი განვითარების "SDG" მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

ბ.ს) ქვეპროგრამა: გადაუდებელი რეაგირება (პროგრამული კოდი 06 02 19. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში/სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების/ოჯახების დახმარებას, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა მომსახურების მიწოდებას ან/და მატერიალურ დახმარებას. ბენეფიციარები სხვადასხვა მომხდარ გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელია იყვნენ: სოციალურად დაუცველი

პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არასრულწლოვნები, ხანდაზმული პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, მარტოხელა მშობლები, უსახლკარო პირები, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მქონე პირები, მხარდაჭერის მიმღები პირები, ძალადობის მსხვერპლები და სხვა პირები, რომელიც შესაძლებელია იყოს ზემო-აღნიშნულ პირთა მსგავს საფრთხეში; ქვეპროგრამით ვერ ისარგებლებენ მოქალაქეები, რომელთა მოთხოვნა უკავშირდება : ა) სამედიცინო დაწესებულების წინაშე დავალიანების დაფარვას; ბ)საზღვარგარეთ სამედიცინო ან/და მედიკამენტოზურ მკურნალობას; გ)ხანძრისგან მიყენებული ზიანის გამო მატერიალურ დახმარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები მიიღებენ შესაბამის დახმარებას გონივრულ, შესაძლო მოკლე ვადაში. მატერიალური დახმარების შემთხვევაში თითოეულ შემთხვევაზე ბენეფიტი განსაზღვრულია არაუმეტეს 1500 ლარისა (გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: 3: ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა).

კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ და მოიწონეს წარმოდგენილი რედაქციით.

სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
მამუკა რიჟამაძე